# აზერბაიჯანს გაზი საკმარისი აქვს, ოღონდ ფასი მაღალია

## მაირ მამედოვი: „ჩვენ სრულად ვაკმაყოფილებთ მოთხოვნილ მოცულობას“

მაკა ხარაზიშვილი

*რუსული გაზის შემოსვლასთან დაკავშირებით ვნებათაღელვა არ ცხრება. ეს საკითხი ისეთივე აქტუალური გახდა აზერბაიჯანში, როგორც საქართველოში. „სოკარ ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ამბობს, რომ საქართველოს გაზის მოთხოვნილებას თითქმის აკმაყოფილებს. ენერგეტიკის სამინისტროში კი განმარტავენ, რომ ზამთარში, თბოსადგურების სრული დატვირთვით მუშაობის შემთხვევაში, გაზის მოხმარება გაიზრდება, ამიტომ ქვეყანამ ალტერნატიულ წყაროებზეც უნდა იმუშაოს. პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი მთავრობის მიერ უსაფრთხოების საკითხის განხილვას ისევ დაჟინებით ითხოვს.*

„სოკარ ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა მაჰირ მამედოვმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანს შეუძლია და თითქმის სრულად უზრუნველყოფს საქართველოს მოსახლეობისთვის აუცილებელი გაზის მიწოდებას. მამედოვის განმარტებით, ყოველდღიურად საქართველოს 5 მილიონი კუბური მეტრი გაზის მიეწოდება, რასაც ემატება 1 მილიონი კუბური მეტრი შაჰ-დენიზის საბადოდან. საქართველოს მიერ მოხმარებული გაზის მოცულობა კი დღეში 6,2 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს. „ასე რომ, ჩვენ სრულად ვაკმაყოფილებთ მოთხოვნილ მოცულობას“, - განაცხადა მამედოვმა.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე მარიამ ვალიშვილი ამბობს, რომ „სოკართან“ გრძელვადიანი ხელშეკრულება მოსახლეობის მოხმარებისთვის საკმარისი ბუნებრივი აირის მოწოდებაზეა გაფორმებული. რაც შეეხება კომერციულ გაზს, აქ ბაზარი თავისუფალია, შესაბამისად, ბიზნეს სექტორს ექნება საშუალება, არჩევანი რესურსისა და ფასის მიხედვით გააკეთოს. ვალიშვილი ამბობს, რომ საქართველოს დღიური მოხმარება მამედოვის მიერ დასახელებულ 6.2 მილიონ კუბურ მეტრზე მეტია, რადგან ზამთრის სეზონის დაწყების გამო თბოსადგურებიც ჩაირთო, შედეგად, მოხმარება თანდათანობით 10-11 მილიონ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. ამიტომ, შესაძლოა, საქართველო იმპორტირებული გაზის დეფიციტის წინაშე აღმოჩნდეს.

ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი რევაზ არველაძე საინფორმაციო სააგენტო „პირველთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ საქართველოს მხრიდან რუსეთთან მოლაპარაკება, მეტი ბუნებრივი აირის უკეთესი პირობებით მიღებაზე გასაკვირი არ არის.

„მამედოვი, ეტყობა, ვერ ითვალისწინებს იმ ამბავს, რომ საქართველოში უკვე არის ახალი თბოელექტროსადგური, რომელიც გარდაბანში მალე ჩაირთვება და მას დამატებით დღე-ღამეში 1 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დასჭირდება. მეორეც, მამედოვმა ძალიან კარგად იცის, რა ფასად იღებს საქართველო აზერბაიჯანიდან გაზს“, - ამბობს არველაძე და განმარტავს, რომ ეს არის 5% „შაჰ-დენიზიდან“, რომელსაც უფასოდ ვიღებთ. ამას ემატება, 500 მილიონი კუბური მეტრი, რომელსაც ხელშეკრულების თანახმად ვიღებთ 55 დოლარად, პლუს 1.5% წელიწადში და ეს დაახლოებით 70 დოლარია. შემდეგ მოდის სოციალური გაზი, რომელიც ასევე 500 მილიონი კუბური მეტრია და მისი ფასია 189 დოლარი.

**მარიამ ვალიშვილი: კომერციული გაზის სექტორში ბაზარი თავისუფალია, შესაბამისად, ბიზნეს სექტორს ექნება საშუალება, არჩევანი რესურსისა და ფასის მიხედვით გააკეთოს**

„ამის ზევით ვიღებთ ძვირ გაზს, რაც დაახლოებით 250 დოლარია 1000 კუბურ მეტრზე. როცა საქართველოს მოხმარება გაიზრდება, სწორედ ის ძვირი გაზი უნდა მიიღოს იმიტომ, რომ შეღავათიანი მოცულობა ამოწურულია. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მოლაპარაკება გაიმართოს რუსეთთან, თუკი უკეთესი პირობები იქნება. სხვა შემთხვევაში, ალბათ, აზერბაიჯანს იმ 250 დოლარად შესაძლებლობა ექნება, კიდევ დაგვიმატოს გაზი“, - განაცხადა არველაძემ.

ექსპერტის თქმით, „შაჰ-დენიზი 2“ ჯერ კიდევ ვერ ამოქმედდა. ამ გაზსადენს პირველ ეტაპზე უნდა გაეტარებინა 15 მილიარდი კუბური მეტრი გაზი და შემდეგ 30 მილიარდამდე ასულიყო. საქართველოს წილი (5%) პირველ ეტაპზე გამოდიოდა 750 მილიონი კუბური მეტრი წელიწადში და საბოლოოდ 1.5 მილიარდი კუბური მეტრი იქნებოდა.

„სინამდვილეში ამ გაზსადენში 6 მილიარდ კუბურ მეტრ გაზზე მეტს არ გაუვლია და საქართველოს 60 მილიონზე მეტი არ მიუღია. აქედან გამომდინარე, აზერბაიჯანის მხარის მტკიცება, რომ საქართველოს ჰყოფნის, მეტი არ სჭირდება და ა.შ. ეს არ არის სწორი. მით უმეტეს, მომავალში კიდევ დაგეგმილია 500-მეგავატიანი ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობა, რომელსაც დღეში არანაკლებ 2 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი დასჭირდება“, - აცხადებს არველაძე.

პრეზიდენტის ადმინისტრაცია კი საქართველოში რუსული გაზის შემოსვლას მაინც სახიფათოდ მიიჩნევს და ელოდება, როდის გადაწყვეტს მთავრობა ენერგოუსაფრთხოების საკითხის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე განხილვას.

„აღნიშნული საკითხების ირგვლივ მანამდე იქნება გაურკვევლობა და სპეკულაცია, ვიდრე ნათელი არ მოეფინება და არ გახდება ცნობილი, რასთან გვაქვს საქმე. სწორედ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ მთავრობის სხდომის დღის წესრიგში ყოფილიყო შეტანილი და საკითხი პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან ერთად განხილულიყო. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობის მხრიდან ამ დრომდე პასუხი არ მიგვიღია“, - განაცხადა პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა გიორგი აბაშიშვილმა.

მთავრობა კი ამ საკითხის ენერგოუსაფრთხოების ჭრილში განხილვას არ აპირებს და თვლის, რომ ბაზრის დივერსიფიკაცია სწორედ ენერგოუსაფრთხოებას უკავშირდება. ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის განცხადებით, აზერბაიჯანი საქართველოს მოთხოვნას სრულად ვერ აკმაყოფილებს.

„ჩვენთვის ძირითადი მომწოდებელი აზერბაიჯანია, თუმცა რაღაც მოცულობაზე არის პრობლემები. თუკი მოვახერხებთ, რომ რუსეთიდან შესაძლებელი იქნება ბუნებრივი აირის წამოღება, რასაკვირველია, კონკურენტუნარიან ფასში, ეს ძალიან კარგი იქნება“, - აღნიშნა მინისტრმა და დასძინა, რომ „სოკარი“ და „გაზპრომი“ თავადაც პარტნიორები არიან.

„ექსპორტიორი ქვეყნებიც კი ახორციელებენ გაზის იმპორტს, აფორმებენ ხელშეკრულებებს, ეს ნორმალური პროცესია. ამასთან დაკავშირებით მე დღეს გავიგე, რომ გაფორმებულია ხელშეკრულება გაზის ექსპორტზე რუსეთიდან აზერბაიჯანში“, - განაცხადა კახა კალაძემ.